



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 201.

2022 წლის 3 ნოემბერი

ქ. თბილისი

მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის წესების და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის N82/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 20 ოქტომბრის N196 ბრძანების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 3 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1398969) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის წესები და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებისთი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის - CV ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი დავით ჩიჩუა, და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტები ანა ფოლოდაშვილი და ნინო აბუსელიძე;
12. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
13. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი



ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

**მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური
კვლევების 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის
წესები და პირობები**

1. ზოგადი დებულებები

1. მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (Science, Technology, Engineering and Mathematics - STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომ - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს თანამედროვე გამოწვევების გადაჭრაზე ორიენტირებული იდეების, ჰიპოთეზებისა და კონცეფციების განვითარებას, მონაცემების დამუშავება-ანალიზს, ახალი მიდგომების, მეთოდების, მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების შემუშავებას ორი ან მეტი სამეცნიერო დისციპლინის ერთობლიობით. დაფინანსებულმა კვლევამ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) სფეროს გაძლიერებასა და მის ჩართვას ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ პროგრესში.

2. კონკურსი ითვალისწინებს ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების დაფინანსებას. ინტერდისციპლინური კვლევა განსაზღვრება, როგორც მინიმუმ ორი სამეცნიერო დარგის (დისციპლინის) ერთობლიობით განსახორციელებელი კვლევა. სამეცნიერო მიმართულებების, დარგებისა და ქვედარგების დეტალური ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლში.

3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანებით და ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით განსაზღვრული კონკურსის წესების და პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობისა და გრანტის მიღების უფლება აქვს ძირითად პერსონალს წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციასთან ერთად.

2. პროექტს უნდა ჰყავდეს **ძირითადი პერსონალი** – გრანტის მიმღები ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი უნდა შედგებოდეს პროექტის ხელმძღვანელისა და მკვლევრებისაგან. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ასევე დოქტორანტი. **ძირითადი პერსონალის** ყველა წევრი ჩართული უნდა იყოს პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში.

3. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი**, რომელიც პროექტს განახორციელებს წამყვან ორგანიზაციაში და ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია.

როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე. პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ა) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს;
- ბ) ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
- გ) არის პროექტით გათვალისწინებული კვლევის მინიმუმ ერთი დისციპლინის (დარგის) მკვლევარი; აქვს სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება, ან არის სულ მცირე ერთი დასრულებული (დახურული) სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი.
- დ) სამეცნიერო პროდუქტიულობა, კონკურსზე პროექტის რეგისტრაციის დროისათვის, არის: h-ინდექსი არანაკლებ 5 Scopus-ის ბაზის მიხედვით;

4. პროექტში შესაძლებელია ჩართული იყოს **ახალგაზრდა მეცნიერი** – დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადებამდე გასულია არაუმეტეს 7 წელი, ასევე დოქტორანტი;

5. ძირითადი პერსონალის სტატუსით კონკურსში მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ ერთი პროექტის ფარგლებში. კონკურსში მონაწილეობის უფლება ძირითადი პერსონალის სტატუსით არ აქვთ პირებს, რომლებიც ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულნი არიან ერთზე მეტ მიმდინარე პროექტში, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ან გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ან ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსების ფარგლებში.

6. **პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ**, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული 2022 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით.

7. პროექტში შეიძლება ჩართული იყოს **დამხმარე პერსონალი**, პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალმა შეასრულოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები (მაგალითად, ძირითადი პერსონალისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე, განახორციელოს კვლევითი ვიზიტი საზღვარგარეთ, დაწეროს სტატია და მონოგრაფია). დამხმარე პერსონალი არ არის გრანტის მიმღები.

8. პროექტს უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

9. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

10. წამყვანი ორგანიზაცია და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პასუხისმგებელია უზრუნველყოს: პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალი პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; პროექტის განხორციელების ანგარიშგება გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად; ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოოს გრანტის ბუღალტრული აღრიცხვა; შეასრულოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებები.

11. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადაფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ფონდთან ერთად აფინანსებენ კვლევით პროექტს.

12. გრანტის მიმღები სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან პროექტის განხორციელებასა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 24 თვეს, ხოლო თითოეული საანგარიშო პერიოდი მოიცავდეს 12 თვეს.

2. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 70 000 ლარს წელიწადში.

3. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება – ჯამში არა უმეტეს 40 000 ლარისა წელიწადში;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება – ჯამში არა უმეტეს 5 000 ლარისა წელიწადში;

გ) მივლინება;

დ) საქონელი და მომსახურება;

ე) არაფინანსური აქტივები;

ვ) ზედნადები ხარჯები – წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ ამ ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი №9).

5. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის ან/და მობილური ტელეფონის შეძენა.

6. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

7. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) **კრებსითი ინფორმაცია** პროექტის შესახებ (დანართი №2 - ნიმუში, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) **საპროექტო წინადადება** ქართულ ენაზე (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) პროექტის **ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები** (CV) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“

შევსებული იყოს ქართულ, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის - ინგლისურ ენაზე, ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას (დანართი №4 - ნიმუში). უცხოელი ძირითადი პერსონალის ინგლისური CV-ების ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი;

დ) პროექტის განხორციელების **გეგმა-გრაფიკი** (დანართი №5 - ნიმუში, ივსება GMUS-ში);

ე) პროექტის **ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (დანართი №6 - ნიმუში, ივსება GMUS-ში);

ვ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ვ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №7-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ვ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №7-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ზ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები** (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის შემთხვევაში – ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან გაცემული 2022 წელს); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

თ) პროექტში სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირის სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილების ან სულ მცირე ერთი დასრულებული (დახურული) სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა (ფონდის მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ საგრანტო ხელშეკრულების ნომრის და თარიღის მითითება)

ი) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე **ორგანიზაციის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი** (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2022 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №8 - ნიმუში, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2022 წლის 11 ნოემბრიდან - 24 ნოემბრის 16:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2022 წლის 28 ნოემბრის 18:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) სავალდებულოა, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ შევსებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ - ინგლისურ ენაზე.

გ) პროექტის ხელმძღვანელის შემთხვევაში სავალდებულოა „მეცნიერის პროფილში“ მითითებული იყოს სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ან სულ მცირე ერთი დასრულებული (დახურული) სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია.

დ) პროექტის რეგისტრაცია მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (Science, Technology, Engineering and Mathematics - STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი).

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
- ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
- გ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;
- დ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკურ ექსპერტიზა;
- ე) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;
- ვ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ;
- ზ) დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება;
- თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
- ი) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

- ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანებით ან/და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;
- ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტების დამოუკიდებელ ექსპერტთა და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ პროექტების შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას.

3. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანების დამტკიცებული დებულების მე-8, მე-9 და მე-13 მუხლებით დადგენილი წესებითა და

„საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“.

4. დამოუკიდებელ ექსპერტთა და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, ფონდი ადგენს და გენერალური დირექტორი ამტკიცებს პროექტების რანჟირებულ სიას. რანჟირებული სიის საფუძველზე, გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, გამოყოს სათადარიგო პროექტები, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულებთან არ/ვერ გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება.

5. ფონდი უზრუნველყოფს, პროექტი შესაფასებლად არ გაეგზავნოს ექსპერტს, რომელიც პროექტის ხელმძღვანელმა დაასახელა არასასურველ ექსპერტად.

6. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის ექსპერტთა შეფასებების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესების დაცვით.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხოლო მეორე ტრანში გადაირიცხება პირველი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე.

4. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ცნობის (მასზედ რომ დამფინანსებელ იურიდიულ პირს გათვალისწინებული აქვს შესაბამისი თანხა ბიუჯეტში) წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

5. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

6. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია მიმდინარე წლისათვის პროექტის განსახორციელებლად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობის 20%-ის ფარგლებში.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს

პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

3. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

4. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის №82/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია ან პატიენტი. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან დასტურდებოდეს მისი გამოსაქვეყნებლად მიღების ფაქტი. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking რეიტინგში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct), Clarivate (Web of Science), ERIH plus ბაზებში.

2. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და სხვა ბეჭდვით პროდუქციაზე) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.
5. გრანტის მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული ნაშრომის როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიის (PDFფორმატით) გადაცემა გრანტის გამცემისთვის.
6. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი ზოგადი ინფორმაცია General Information

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	პროექტის ხანგრძლივობა (თვე)	□ 24
	Project duration (month)	
3	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
	Requested funding from SRNSFG (GEL)	
4	თანადაფინანსების თანხა (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
	Co-funding (GEL) (if applicable)	
5	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
	Total budget (GEL)	
6	პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
	Principal investigator (Name, Surname)	
7	ელ.ფოსტა	
	E-mail	
8	პროექტის ხელმძღვანელის h-ინდექსი Scopus-ის ბაზის მიხედვით (ციფრი)	
	Principal investigator's h-index in Scopus	
9	Scopus-ში პროექტის ხელმძღვანელის საავტორო პროფილის ბმული	
	Scopus link to Author profile of the Principal investigator	
10	ტელეფონი	
	Telephone	
11	საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა
12	აბსტრაქტი	სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400
	Abstract	Maximum word count - 400

სამეცნიერო მიმართულებები Scientific fields	
13	პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება Scientific field
14	დარგი, ქვედარგი Discipline, Sub-discipline
	1
	2
	3

შენიშვნა: სავალდებულოა მითითებული იყოს მინიმუმ 2 დარგი (დისციპლინა).

15	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა)
----	--

16 ინფორმაცია არასასურველი ექსპერტების შესახებ Information about excluded reviewers		
N	სახელი, გვარი Name, Surname	ინსტიტუცია Institution
1		
2		
3		

II გვერდი ორგანიზაცია Organization

ინფორმაცია წამყვანი ორგანიზაციის შესახებ Information about host institution	
1	წამყვანი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი ID code of the host institution
2	წამყვანი ორგანიზაცია Host institution
3	კვლევითი ინსტიტუცია Research institution
4	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი Head of the host institution
5	თანამდებობა Position
6	წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდი Webpage of the host institution
7	ელ.ფოსტა E-mail
8	ტელეფონი Telephone

9	მისამართი	
	Address	
10	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	

ინფორმაცია თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-participant institution (if applicable)		
11	თანამონაწილე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
	ID code of the co-participant institution	
12	თანამონაწილე ორგანიზაციის დასახელება	
	Title of the co-participant institution	
13	კვლევითი ინსტიტუცია	
	Research institution	
14	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
	Head of the co-participant institution	
15	თანამდებობა	
	Position	
16	თანამონაწილე ორგანიზაციის ვებგვერდი	
	Webpage of the co-participant institution	
17	ელ.ფოსტა	
	E-mail	
18	ტელეფონი	
	Telephone	
19	მისამართი	
	Address	
20	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
21	თანადამფინანსებელი იურიდიული პირი	
22	მისამართი	
23	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
24	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
25	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
26	ელ. ფოსტა	
27	ტელეფონი	
28	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა

III გვერდი
პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი
Scientific Team

1. ინფორმაცია ძირითადი პერსონალის შესახებ

№	პირადი ნომერი	სახელი, გვარი/ Name, Surname	პოზიცია პროექტში/Position In the project	აკადემიური ხარისხი	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი (კი, არა)	დაბადების თარიღი	სქესი (მდედრ. მამრ.)	პროფესიული ბიოგრაფიები (CV)
1			პროექტის ხელმძღვანელი/ Principal Investigator					PDF ფაილის ატვირთვა
2			მკვლევარი/ Researcher					PDF ფაილის ატვირთვა
3								

2. ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ

№	პოზიცია პროექტში
1	
2	
3	

IV გვერდი
გეგმა-გრაფიკი

ივსება GMUS-ში

V გვერდი
ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება

ივსება GMUS-ში

მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადების საერთო მოცულობა - 15 გვერდი ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1 სმ, შრიფტი: Sylfaen ან Times New Roman; ზომა: 10 ან 11

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება ქართულად

1. სამეცნიერო კვლევა

1.1. კვლევის სიახლე და აქტუალობა

(პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; აღწერა და დასაბუთება, თუ რა მეცნიერულ სიახლეს გვთავაზობს კვლევა, რატომაა კვლევა აქტუალური; პრობლემის ფორმულირება; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 600)

1.2. სამეცნიერო მიზნებისა და დაგეგმილი ამოცანების შესრულების ინტერდისციპლინური ასპექტები

(წარმოადგინეთ კვლევის ინტერდისციპლინური მახასიათებლები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300)

1.3. კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან

(წარმოადგინეთ შემოთავაზებული კვლევის მიზანი და ამოცანები; აღწერეთ მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება კვლევაში და დაასაბუთეთ კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400)

1.4. კვლევის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან

(აღწერეთ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის განხორციელების დროს; დაასაბუთეთ მისი შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და დაგეგმილი ამოცანების განხორციელებასთან. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400)

არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსები

№	წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციაში არსებული ინფრასტრუქტურა და აპარატურა	განთავსების ადგილი (წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციაში)
1		
2		
n ¹		

2. სამეცნიერო ეფექტიანობა ²

2.1. პროექტის განხორციელებისას შექმნილი ახალი ცოდნის ან/და ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა და კვლევის შედეგების გავრცელება (დისემინაცია, კომუნიკაცია), ცოდნის/ტექნოლოგიების ტრანსფერის პერსპექტივა

(წარმოადგინეთ კვლევითი პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელი სამეცნიერო ეფექტიანობა. გაითვალისწინეთ, რომ შესაბამისი თვლადი ინდიკატორები ასახული უნდა იყოს პროექტის გეგმა-გრაფიკში შედეგების ამსახველი მასალების სახით. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300)

2.2. პროექტის ეფექტურობა კვლევის დისციპლინებისა და სამეცნიერო სფეროების გაძლიერების მიმართულებით, ასევე ინსტიტუციურ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ახალი პარტნიორული ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბების ან არსებულის გაუმჯობესების პერსპექტივები

(წარმოადგინეთ კვლევითი პროექტის მოსალოდნელი ეფექტები, რომელიც საჩინო იქნება პროექტის დასრულების შემდეგ, ასევე წარმოადგინეთ თუ როგორ გაიზომება აღნიშნული ეფექტი. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300)

2.3. პროექტის ეფექტურობა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესისათვის

(აღწერეთ პროექტით გათვალისწინებული კვლევის ეფექტურობა გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელსაც გავლენა ექნება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ტექნიკური პროგრესის მიმართულებით. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300).

3. მკვლევართა გუნდი

3.1. მკვლევართა გუნდის (პროექტის ძირითადი პერსონალის) კვლევითი გამოცდილება და პროდუქტიულობა

¹ საჭიროებისამებრ დაამატეთ ან წაშალეთ მწკრივი

² საპროექტო წინადადების 2.1 და 2.2 ქვეთავებში წარმოდგენილი სამეცნიერო ეფექტიანობის თვლადი ინდიკატორები, ასევე, ასახული უნდა იყოს პროექტის გეგმა-გრაფიკში)

(წარმოადგინეთ მკვლევართა გუნდის თითოეული წევრის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, პოზიცია პროექტში, გამოცდილება და სამეცნიერო პროდუქტიულობა. თითოეული პირისათვის სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

3.2. პროექტით დასახული მიზნების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობების განაწილება ძირითადი პერსონალის კომპეტენციების გათვალისწინებით

(წარმოადგინეთ მკვლევართა გუნდის წევრებზე პასუხისმგებლობების განაწილება და დაასაბუთეთ თითოეული მათგანის კომპეტენტურობა დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯეროვანი შესრულებისათვის. თითოეული პირისათვის სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

4. განხორციელების გეგმა

